



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

02 ნოემბერი, 2020 წელი
თბილისი

ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია მოსამართლე - მანუჩარ ცაცუა

მოსარჩელე - ა (ა) ი პ „მწვანე ალტერნატივა“
წარმომადგენელი - ნინო გუჯარაიძე

მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
ბათილად ცნობა

განხილვის ფორმა - სასამართლომ განიხილა სასარჩელო განცხადების
სასამართლოს წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2020 წლის 28 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა მოსარჩელე ა (ა) ი პ „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენელმა ნინო გუჯარაიძემ მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 03.09.2020 წლის N2-785 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

სასამართლომ განიხილა სასარჩელო განცხადების სასამართლოს წარმოებაში მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და

მიაჩნია, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში. გარდა ამისა, სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოდან უნდა გამოითხოვოს მასალები და ჩააბას საქმეში მესამე პირი, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან.

მითითებული ნორმატიული აქტის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. ამ ნორმას პროცესუალურად ავსებს მე-20 მუხლი, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

აღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზი ცხადჰყოფს, რომ მხარის გარდა, ასევე სასამართლო უფლებამოსილია საქმის გარემოებათა გარკვევის მიზნით თავად ჩაერთოს მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში. შესაბამისად, მოპასუხე მხარეს უნდა დაევალოს მოსარჩელის მოთხოვნასთან მიმართებაში წერილობითი ინფორმაციისა (შესაგებელი) და ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა.

2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისას

სასამართლო სარგებლობს მის მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევის პრინციპით, რაც გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ამ მიზნით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სასამართლოს აქტიური როლის გამოხატულებაა სასამართლოს მიერ მესამე პირთა მოწვევის საკითხის გადაწყვეტა, რაც რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ბრძანების კანონიერების შემოწმება, რომლითაც გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ადგენის მუნიციპალიტეტში **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის** აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე და ამ მიზნით საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. შესაბამისად, დავის საგნის შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება მიუთითებს მასზე, რომ შესაძლოა **საავტომობილო გზების დეპარტამენტი** იყოს პროცესის შედეგით დაინტერესებული, შეიცვალოს ან გაუქმდეს მისი უფლებები. გამომდინარე აქედან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს თვლის, რომ არსებობს მისი განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩაბმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო საქმის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას 5 თვემდე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით, 22-ე-23-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 184-ე, 284-ე, 285-ე, 445-ე, 448-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1.სარჩელი მიღებულ იქნეს წარმოებაში;

2.№3/6912-20 ადმინისტრაციულ საქმეში სას კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მესამე პირად ჩაბმულ იქნეს **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**;

3.მესამე პირს განემარტოს, რომ თუ ის არ ეთანხმება საქმეში მესამე პირად მოწვევის შესახებ განჩინებას, უფლებამოსილია გაასაჩივროს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით, განჩინების ასლის მიღების დღიდან 12 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე - თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი N7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს (მდებარე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მეშვეობით;

4.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 და 448-ე მუხლებით დადგენილი წესით დაიწყოს საქმის მომზადება, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს მხარეებს;

5.მოპასუხე მხარისაგან გამოთხოვილ იქნეს დავის საგანთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლები სრულყოფილი და თანმიმდევრული სახით და მათი წარმოდგენა მოპასუხე მხარეს დაევალოს სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, ამასთან, მოპასუხე მხარეს განემარტოს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მტკიცებულებათა წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ვალდებულია აცნობოს სასამართლოს წარუდგენლობის მიზეზების შესახებ. შეუტყობინებლობა ან მტკიცებულებათა არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობა გამოიწვევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებების მიღებას;

6.მოპასუხე მხარეს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების ჩაბარების შემდგომ დაევალოს შესაგებლის თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოდგენა;

7.წინამდებარე სარჩელზე საქმის განხილვის ვადა გაგრძელდეს 05 თვემდე;

8.სარჩელის წარმოებაში მიღების, მტკიცებულებათა გამოთხოვისა და ვადის გაგრძელების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე

მანუჩარ

ცაფუა